

# გურიის მხარეში სახელმწიფო რწმუნებულმა საარჩევნო უბანზე იმიტირებულ კენჭისყრაში მიიღო მონაწილეობა

გურიის მხარეში სახელმწიფო რწმუნებულმა **გიორგი ურუშაძემ,** მოადგილეებთან, ოზურგეთის მერთან **ავთანდილ თალაკვაძესთან** და საკრებულოს თავმჯდომარე **დავით დარჩიასთან** ერთად, ოზურგეთის 1 საჯარო სკოლაში განთავსებულ საარჩევნო უბანზე იმიტირებულ კენჭისყრაში მიიღო მონაწილეობა.

*„საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის ინიციატივით, მთელი ქვეყნის მასშტაბით მიმდინარეობს იმიტირებული კენჭისყრა, რომლის მიზანიც არის მოქალაქეების მაქსიმალური ინფორმირებულობა საარჩევნო ტექნოლოგიების გამოყენების შესახებ.*

*2024 წლის საპარლამენტო არჩევნები შეცვლილი ვერიფიკაციისა და ხმის მიცემის ტექნოლოგიური*



*პროცესით გაიმართება, ამიტომ ძალიან მნიშვნელოვანია, რომ ამომრჩეველი მაქსიმალურად იყოს ინფორმირებული ხმის მიცემის ახალი წესის შესახებ, რათა არჩევნები შეუფერხებლად ჩატარდეს,“— აღნიშნა სახელმწიფო რწმუნებულმა.*


# ალიონი

გურია

უძველესი გაზეთი უახლესი ინფორმაციებით!

გაზეთი გამოდის 1931 წლის 5 იანვრიდან

საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი.

ყოველკვირეული გამოშვება. № 14 (10479) 16 სექტემბერი, 2024 წ. ფასი 1 ლარი.


# ოზურგეთის მუნიციპალიტეტში წარმატებულ კურსდამთავრებულთა დაჯილდოების ცერემონია გაიმართა



ოზურგეთის მუნიციპალიტეტში, წვერმაღალას პარკში, წარმატებულ კურსდამთავრებულთა დაჯილდოების ცერემონია გაიმართა.

მუნიციპალიტეტის საჯარო და სამრევლო სკოლებს 2024 წელს 102 ოქროს მედალოსანი ჰყავს, რომელთაგან 14-მა 100%-იანი, ხოლო 11-მა 70%-იანი გრანტი მიიღეს. მათ ჯილდოთ 3000 და 1000 ლარი გადაეცათ. გრანტის მფლობელი მედალოსნები დამატებით 500 და 400 ლარს მიიღებენ. ასევე, 300 ლარი გადაეცათ მათ, ვინც სახელმწიფო დაფინანსება ვერ მოიპოვეს, თუმცა სკოლა ოქროს მედალზე დაამთავრეს. ტრადიციულად დაჯილდოვდნენ სკოლებიც, რომლებიც თითოეულ 100-%-იანი გრანტის მფლობელ მოსწავლეზე 1500 ლარს მიიღებენ.

დაჯილდოების ცერემონიალს გურიის მხარეში სახელმწიფო რწმუნებულის პირველი მოადგილე **ქეთევან მოისწრაფეშვილი,** გურიის მაჟორიტარი დეპუტატი **ვასილ ჩიგოგიძე,** ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერი **ავთანდილ თალაკვაძე** და საკრებულოს თავმჯდომარე **დავით დარჩია** დაესწრნენ.

# 26 სექტემბერს ჩანიშნულია გზშ დოკუმენტის საჯარო განხილვა



**ალიონი.** „პარვუს ბასრას“ ჰესები ამ დროისთვის გარემოზე ზემოქმედების შეფასების (გზშ) ეტაპს გადის, ჩვენი რედაქცია დაინტერესდა თუ რა ეტაპზეა ჰესების მშენებლობა, ფლობს თუ არა ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობისთვის საჭირო ნებართვებსა და კვლევებს და სხვა საკითხებზე, რაც ამ დროისთვის ადგილობრივ მოსახლეობას აღელვებს, ვესაუბრეთ პროექტის მენეჯერს **ზურაბ ბესელიას:**

**— კომპანია „პარვუს ბასრა“ გურიის რეგიონში მდინარე ბჟუჟის ხეობაში ჰიდროლოგიური რესურსის ათვისების მიზნით 2021 წლიდან იწყებს წინასაპროექტო სამუშაოებს, პირველ ეტაპზე დაიგეგმა და დაიწყო სამშენებლო სამუშაოები სამი მცირე ჰესის (თითოეული 2 მეგავატამდე) ასაშენებლად, მოგვიანებით, კომპანიამ სიმძლავრე გაზარდა და მოსახლეობას წარუდგინა ჰესები 30 მეგავატამდე ჯამური სიმძლავრით, რამაც მოსახლეობაში გარკვეული კითხვები გააჩინა. რატომ გადაწყდა მშენებლობის პროცესში პროექტის მასშტაბების მნიშვნელოვნად გაზრდა?**

— წინასაპროექტო სამუშაოების ეტაპზევე, მშენებლობის ნებართვის მოპოვების მიზნით ჩატარებული კველევებისა და დეტალური პროექტირების დროს გამოიკვეთა საპროექტო არეალში პოტენციალის ეფექტურად ათვისების უკეთესი შესაძლებლობა, თუმცა, რეგიონში იმ დროისთვის არ არსებობდა მაღალი ძაბვის ქსელი, რომელთანაც მოხერხდეოდა მიერთება, ჰესების შესაბამისი სიმძლავრე განისაზღვრა ქსელთან მიერთების რეალური შეასაძლებლობის მიხედვით. მოგვიანებით, სახელმწიფოს მიერ დაიწყო 110 კვ ორჯაჭვა საჰაერო ელექტროგადამცემი ხაზის „ოზურგეთი-ზოტიჰესის“ მშენებლობა და შესაბამისად გაჩნდა „ბასრაჰესების“ საპროექტო წარმადობის გაზრდის და წარმოებული ენერგიის გაზრდილი რაოდენობის საერთო ქსელში ჩართვის ახალი პერსპექტივა, რომელიც სამომავლოდ ქსელზე მიერთებული მომხმარებლების ელექტრომომარაგების საიმედოობის გაზრდის, ელექტროენერგიის ხარისხის გაუმჯობესების და არაგეგმიური წყვეტების შემცირების შესაძლებლობას იძლევა.

გასაგებია, მოსახლეობას გაუჩნდა კითხვები და ჩვენ მათ განვუმარტეთ:

„ბასრაჰესების“ სიმძლავრეების დაკორექტირება განსაზღვრულია ასათვისებელი წყლის ობიექტ(ებ)ის ჰიდროლოგიური მახასიათებლების შესაძლებლობიდან გამომდინარე 4 ძალურ კვანძში (არსებული ჰესის შენობებში) **მაღალი გამომუშავების/სიმძლავრის ტურბინების მოწყობის გზით**. რაც მთავარია, დამატებითი ელექტროენერგიის გამომუშავების გეგმა გამორიცხავს გარემოზე დამატებით ზეგავლენას, სიმძლავრის გაზრდა მოხდება მხოლოდ დამატებითი ტურბინების და არსებული ტურბინების მოდიფიკაციის ხარჯზე.

**— კიდევ ერთხელ რომ დავაზუსტოთ, საჭიროებს თუ არა 30 მეგავატიანი ჰესი კაშხალის აგებას?**

— როგორც მოგახსენეთ, პროექტი მისი ტექნიკური მასშტაბებით რჩება უცვლელი, „ბასრა ჰესები“ გახლავთ დამოუკიდებელი, მდინარის მოდინებაზე მომუშავე ობიექტები, რომლებიც არ საჭიროებს კაშხალს და წყლის შეტბორვას, გარკვეულ მონაკვეთზე ხდება წყლის მილებში გატარება და საერთაშორისო სტანდარტით დაშვებულზე მაღალი ეკოლოგიური ხარჯით მდინარე

►►► გვ–3

## გაზეთი „ალიონი“ სარეკლამო მომსახურების ტარიფები

– მე-2 მთლიანი გვერდის (648 კვ.სმ) ღირებულება 150 ლარია;

– მე-3-7 (თითოეული 810 კვ. სმ) მთლიანი გვერდებისა – 200-200 ლარი;

– 1-ლი, ფერადი გვერდი მთლიანად (810 კვ. სმ) არ იყიდება, ნახევარი გვერდის (405 კვ. მ) ღირებულება 400 ლარია;

– ბოლო, მე-8, ფერადი გვერდი მთლიანად 400 ლარი ღირს;

– შიდა შავთეთრ გვერდებზე ფერადი ბეჭდვის შემთხვევაში გვერდის საფასური 70 ლარით იზრდება.

– პოლიტიკური რეკლამის ღირებულება ორმაგია;

– მილოცვა ფერად გვერდზე 32,40 კვ. მ-ზე, სურათით - 30ლარი;

– სამგლოვიარო განცხადება - სიტყვა 30 თეთრი, პლუს სურათი (5X6 სმ) - 2 ლარი;

– გახსენება, ნეკროლოგი – სიტყვა 25 თეთრი, პლუს სურათი (5X6 სმ) - 2 ლარი;



**საცალო ფასი: 80 თეთრი,**
**ხელმოწერა:**
**ერთი თვით – 3,20 ლარი,**
**სამი თვით – 9,60 ლარი,**
**6 თვით –16 ლარი,**
**ერთი წლით – 32 ლარი.**



*გაზეთში გამოქვეყნებული მასალების შინაარსი შეიძლება არ ემთხვეოდეს რედაქციის თვალსაზრისს.*

*ავტორები თვითონ არიან პასუხისმგებელი ინფორმაციის სიზუსტეზე.*

*რედაქციაში აუდიოჩანაწერები ინახება ორი კვირის განმავლობაში, ამ ვადის გასვლის შემდეგ პრეტენზიები აღარ მიიღება.*

*რედაქცია ავტორებისაგან არ მიიღებს სამ ხელნაწერ გვერდზე მეტ მასალას.*

*გამოქვეყნებული მასალების გადაბეჭდვა აკრძალულია რედაქციიდან ნებართვის გაცემის გარეშე.*



## სარედაქციო კოლეგია

*რედაქტორი*

**ნუგზარ ასათიანი**

nugzarasatiani15@gmail.com

558 499100

*კომპიუტერული უზრუნველყოფა*

**გიორგი გოგოლაძე**

gia_77@mail.ru

551 576060

რედაქციის მისამართი: ქ. ოზურგეთი, გაბრიელ ეპისკოპოსის ქ.№3

ტელ: 558 499 100



გაზეთი რეგისტრირებულია ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში 18. 11. 2004 №44/4-311

გაზეთი იბეჭდება გამომცემლობა „მერიდიანში“

მის: თბილისი, ვ. ბაგრატიონის ქ. №77



**დაიწყეთ ყოველი ოიშაბათი ალიონზე**

**«ალიონით»**


# 8 სექტემბრის სტიქიიდან ერთი წელი გავიდა



8 სექტემბრის სტიქიიდან ერთი წელი გავიდა. გურიის მხარეში სახელმწიფო რწმუნებულის მოადგილეებმა **ქეთევან მოისწრაფეშვილმა** და ზაზა შოშიტაიშვილმა, ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებთან, საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის სახანძრო-სამაშველო ძალების დეპარტამენტის დირექტორის მოადგილესთან **ლაშა თვაურთან** და გურიის საგანგებო სიტუაციების მართვის მთავარი სამმართველოს უფროსთან **მერაბ ჭანუყვაძესთან** ერთად, ლანჩხუთისა და ოზურგეთის მუნიციპალიტეტებში პატივი მიაგეს სტიქიის შედეგად გარდაცვლილთა ხსოვნას და მათი საფ-ლავები ყვავილებით შეამკეს.

2023 წლის 8 სექტემბრის სტიქიას გურიის რეგიონში სამი ადამიანის სიცოცხლე ემსხვერპლა.

# გურიის რეგიონში წყალმომარაგების ქსელის სარეაბილიტაციო-სამშენებლო სამუშაოები ხორციელდება



საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია, გურიის რეგიონში, წყალმომარაგების მიმართულებით სარეაბილიტაციო-სამშენებლო სამუშაოების 6 პროექტს ახორციელებს, რომელთა ჯამური ღირებულება სახელმწიფო დაფინანსებით 115 მილიონ ლარს შეადგენს.

ოზურგეთის მუნიციპალიტეტში მიმდინარე სამუშაოები საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრმა **ირაკლი ქარსელაძემ,** გურიის მხარეში სახელმწიფო რწმუნებულმა **გიორგი ურუშაძემ,** გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის დირექტორმა ალექსანდრე თევდორაძემ და ოზურგეთის მერმა **ავთანდილ თალაკვაძემ** მოინახულეს.

პროექტის ფარგლებში მოეწყობა: ახალი რეზერვუარი, ჭაბურღილები, სატუმბი სადგური, აღრიცხვის კვანძები და სხვა საჭირო ინფრასტრუქტურა.

გურიის რეგიონში, საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის მიერ, მიმდინარე პროექტების დასრულება ეტაპობრივად, 2024-2026 წლებში იგეგმება, რის შედეგადაც 50 000-მდე ბენეფიციარი უწყვეტი, თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი წყალმომარაგებით ისარგებლებს.

# ლანჩხუთში თევზის ფესტივალი გაიმართა



ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სოფელ სუფსაში თევზის ფესტივალი გაიმართა, რომელსაც გურიის მხარეში სახელმწიფო რწმუნებულის მოადგილე **ზაზა შოშიტაიშვილი,** გურიის მაჟორიტარი დეპუტატი **ვასილ ჩიგოგიძე,** ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერი **ალექსანდრე სარიშვილი** და საკრებულოს თავმჯდომარე **ბესიკ ტაბიძე** დაესწრნენ.

ფესტივალზე მოეწყო ადგილობრივი მეწარმეების პროდუქციის გამოფენა-გაყიდვა, ჩატარდა კულინარიული და სპინინგით თევზჭერის მასტერკლასები.

სტუმრების განწყობაზე „ **OCEAN DRIVEM”** და **DJ DATOKIMO**-მ იზრუნეს.

# სად უნდა განთავსდეს სააგიტაციო მასალა

**ალიონი.** ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულომ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სააგიტაციო მასალების განთავსების რეგულირების საკითხი განიხილა. განსახილველი საკითხის პროექტი ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერის პირველმა მოადგილე **გიორგი ღურჯუმელიძემ** წარმოადგინა.

სააგიტაციო მასალის განთავსება /გაკვრა იკრძალება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებულ საკულტო ნაგებობებზე, კულტურული მემკვიდრეობის შენობა-ნაგებობებზე, სახელმწიფო ხელისუფლებისა და მუნიციპალური ორგანოების, პოლიციის შენობების ინტერიერებსა და ექსტერიერებში, აგრეთვე საგზაო ნიშნებზე.

სააგიტაციო მასალები ასევე არ გაიკვრება მერაბ კოსტავას ქუჩაზე მდებარე გარე განათების ბოძებზე; ფარნავაზ მეფის ქუჩა №1-ში მდებარე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების ფასადებზე; ვიქტორ დოლიძისა და ილია ჭავჭავაძის ქუჩაზე არსებული გზაგამყოფის, სადგურის მოედანზე მდებარე გარე განათების ბოძებზე; ასევე ვიქტორ დოლიძის, ილია ჭავჭავაძის, შოთა რუსთაველის ქუჩებზე მდებარე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების ფასადებზე.

სააგიტაციო მასალების განთავსება/გაკვრა შეიძლება: ქ. ოზურგეთში – გარე განათების ბოძებზე; მუნიციპალიტეტის დაბებსა და სოფლებში მგზავრთა მოსაცდელებზე, გარე განათების ბოძებზე, მწვანე ნარგავებზე (შეიძლება წებოვანი ან/და პლასტმასის ლენტის გამოყენებით).

ამ განკარგულებით თანდართულ დანართში გათვალისწინებულ ადგილებში საარჩევნო სუბიექტებმა უნდა უზრუნველყონ საკუთარი სააგიტაციო მასალის გამოკვრა და გამოფენა იმ ფორმით, რომ დაცული იქნეს წინასაარჩევნო კამპანიაში (აგიტაციაში) მონაწილე ყველა საარჩევნო სუბიექტის თანაბარი შესაძლებლობა ისარგებლოს სააგიტაციო მასალის გასაკრავად და გამოსაფენად განკუთვნილი ადგილებით.

აღნიშნულზე საკრებულომ მიიღო შესაბამისი დადგენილება.




# ოზურგეთის თოჯინების თეატრი საერთაშორისო თეატრალური ფესტივალის გრან პრის მფლობელია



ოზურგეთის მუნიციპალიტეტის თოჯინების და მოზარდ მაყურებელთა პროფესიული თეატრი ქობულეთში, საერთაშორისო თეატრალურ ფესტივალში მონაწილეობს, სადაც რეჟისორ **ელენე მაცხონაშვილის** სცენარის მიხედვით, განხორციელებული სპექტაკლი „იავნამამ რა ჰქნა“ წარმოადგინეს.

ჟიურიმ ოზურგეთის თოჯინების და მოზარდ მაყურებელთა პროფესიული თეატრს **(დირექტორი ლაშა კუტალაძე)** სპექტაკლისათვის „იავნამამ რა ჰქნა“ გრან პრი მიანიჭა.


**„ენერგო-პრო ჯორჯიას“ ოზურგეთის სერვისცენტრი გილოცავთ ახალი სასწავლო წლის დაწყებას!**

# 26 სექტემბერს ჩანიშნულია გზშ დოკუმენტის საჯარო განხილვა



გააგრძელებს ჩადინებას ხეობაში. **სიმძლავრეების გაზრდა არ გულისხმობს დამატებითი ჰიდროტექნიკური ობიექტების მოწყობას, ახალი ტერიტორიების ათვისებას.**

**— იცვლება თუ არა ნებართვები და სხვა დოკუმენტაცია ასეთ დროს, ზოგადად რა ნებართვებს და კვლევების დასკვნებს ფლობს ამ ეტაპზე კომპანია?**

—კომპანიის მიერ პროექტის განხორციელება ხდება საქართველოს კანონმდებლობისა და საქართველოს მთავრობასთან გაფორმებული ,,ელექტროსადგურების მშენებლობის ტექნიკურ-ეკონომიკური განხორციელებადობის საკითხების შესწავლის მშენებლობის, ფლობისა და ოპერირების შესახებ‘‘ ხელშეკრულების საფუძველზე.

ზემოაღნიშნული ხელშეკრულების მიხედვით, კომპანიამ ჩაატარა კანონმდებლობით დადგენილი წინასამშენებლო კვლევები, ტექნიკურ-ეკონომიკური დასაბუთება რომელმაც შესაძლებლობა მისცა პროექტს გადასულიყო სამშენებლო ფაზაზე; იტალიურმა საპროექტო კომპანიამ უზრუნველყო ჰიდროელექტროსადგურების ტექნიკური დიზაინის მომზადება; კომპანიამ მოიპოვა პროექტის განხორციელებისათვის საჭირო და პროექტის არეალში მოქცეულ მიწებზე შესაბამისი უფლებები; ჩატარდა **გეოლოგიური, სეისმოლოგიური, ბიომრავალფეროვნების, იქტიოლოგიური** და **ჰიდროლოგიური** კვლევები და გაიცა დასკვნები საქართველოში ყველაზე კომპეტენტური ექსპერტების მიერ.

მიუხედავად იმისა, რომ მცირე ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობა (პირველი პროექტით) არ ითვალისწინებდა გარემოზეზე მოქმედების შეფასებისთვის აუცილებელი სამუშაოების ჩატარებას, კომპანიას ამ კვლევების გარკვეული ნაწილი უკვე ჩატარებული ჰქონდა პროექტირების ეტაპზევე. ვინაიდან პროექტის დადგმული სიმძლავრე უკვე ექვემდებარება გარემოს ზემოქმედების კუთხით შესაბამის პროცედურებს, კომპანია ამ ეტაპზე ახორციელებს გარემოზე ზემოქმედების შეფასებით სამუშაოებს. სკოპინგის ფარგლებში უკვე წა-რვუდგინეთ ადგილობრივებს პრეზენტაცია ჰესების ტექნიკური მახასიათებლების აღწერით, ალტერნატივების ანალიზით, შემარბილებელი ღონისძიებების ნუსხით ელექტროენერგიის გენერაციის გეგმით, ხარჯსარგებლიანობის და რისკების ანალიზით, სოციალური პასუხისმგებლობის ფარგლებში ჩასატარებელი აქტივობების ჩათვლით. **26 სექტემბერს ჩანიშნულია გზშ დოკუმენტის საჯარო განხილვა,** სადაც მოსახლეობას მივაწოდებთ დეტალურ ინფორმაციას ზემოთ ჩამოთვლილის შესახებ.

**— მოსახლეობა ასევე ღელავს, ხომ არ გამოიწვევს ეკოლოგიურ კატასტროფებს მიმდინარე მშენებლობა და ხომ არ დაშრება ხეობაში მდინარე?**

—ყველა ის კვლევა, რომელზეც ვსაუბრობთ და წარვადგინეთ ჩვენს შეხვედრაზე, სწორედ ამ მიზნით ჩატარდა და გაცემული დასკვნები ასაბუთებს, რომ მიმდინარე მშენებლობა ვერ იქნება მაღალი ეკოლოგიური რისკების გამომწვევი.ასეთი მასშტაბის პროექტზე ნებართვის გაცემა ამ რისკების შეფასების გარეშე ხომ ვერ მოხდებოდა? რა თქმა უნდა, მშენებლობის პროცესში ადგილი აქვს ბუნებაზე ზემოქმედების გარკვეულ ქმედებებს, მაგალითად გზის გაყვანისას ხდება კლდის ნაწილის დამუშავება, იჭრება წინასწარ განსაზღვრული და აღწერილი ხეებიც, ყველა ეს ქმედება ხდება წინასწარ აღებული ნებართვებით, მიმდინარეობს მუდმივი მონიტორინგი, და რაც მთავარია მას ახლავს სათანადო მაკორექტირებელი ქმედებები/შემარბილებელი ღონისძიებები, რომლის შესრულების შემდგომ შესაძლებელი იქნება ზემოქმედების მინიმუმამდე შემცირება, ხოლო უკეთეს შემთხვევაში პრევენცია *(დამოკიდებულია შემარბილებელი ღონისძიებების ეფექტიანობაზე დაკვირვებაზე, რასაც ასევე ითვალისწინებს გზშ-ის დოკუმენტი).*

მაგალითად, მდინარის ეკოლოგიური ფუნქციის შენარჩუნების მთავარ/ძირითად მაკორექტირებელ ქმედებებს წარმოდგენს: სათავე ნაგებობებიდან მდინარის კალაპოტში (ნიშნულზე) დადგენილი ეკოლოგიური ხარჯის მუდმივად გატარება და კონტროლი; მდინარეში ეკოლოგიური ხარჯის ტოლი ან მას ზენაკლები ხარჯის მოდინების შემთხვევაში ჰეს-(ებ)ის მუშაობის შეჩერება და მოდინებული წყლის ხარჯის სრულად გატარება სათავე კვანძის მეშვეობით მდინარის კალაპოტში; ქვედა ბიეფში მყარი ნატანის გატარების უზრუნველყოფა, განსაკუთრებით წყალდიდობების დროს; სათავე კვანძების კვეთებში მონიტორინგის განხორციელება მყარი ნატანის შესაძლო დაგროვების და მისი გატარების უზრუნველსაყოფად; კალაპოტის მონიტორინგის ღონისძიებების უზრუნველყოფა და სხვა.

**— წყლის ეკოლოგიურ ხარჯსაც რომ შევეხოთ, განვუმარტოთ მოსახლეობას, რა მეთოდით მოხდა დათვლა?**

— მოდი, განვმარტოთ რა არის ეკოლოგიური ხარჯი, ეკოლოგიურ ხარჯად ითვლება წყლის ის რაოდენობა, რომელიც მუდმივად უნდა მიედინებოდეს კალაპოტში მდინარის ეკოსისტემის შესანარჩუნებლად. ჰიდროტექნიკური ნაგებობების პროექტირებისას გამოიყენება გავრცელებული პრაქტიკა, რომელიც ითვალისწინებს საშუალო მინიმალური ჩამონადენის 10% დატოვებას მდინარის კალაპოტში, ან ხარჯს საშუალო წლიური ჩამონადენის 90-99% უზრუნველყოფის სიდიდეებს შორის *(,,მდინარის სანიტარულ-ეკოლოგიური ხარჯის გაანგარიშების მეთოდოლოგია“; ვაჟა ტრაპაიძე1, დავით კერესელიძე1, კახაბერ ბილაშვილი1, გიორგი ბრეგვაძე1).*

ზემოქმედებას დაქვემდებარებულ მდინარესთან დაკავშირებული, მათ შორის იქთიოფაუნის და ზოგადად მდინარის ეკოლოგიური გარემოსთვის განსაზღვრული ეკოლოგიური ხარჯ-(ებ)ის საკმარისობის საკითხის შეფასება და შესაბამისი შემარბილებელი ღონისძიებები ასახულია გზშ-ს ანგარიშში, ამასთან აღსანიშნავია, რომ სათავე ნაგებობებზე გათვალისწინებულია საერთაშორისო სტანდარტებით (FAO) რეკომენდებული თევზსავალების მოწყობა, რომელთა ჰიდრავლიკური ანგარიში ეყრდნობა სხვადასხვა პარამეტრებს, მათ შორის ეკოლოგიური ხარჯის რაოდენობას, მდინარესთან დაკავშირებულ იქთიოფაუნის სახეობებს და სხვა, პარამეტრები გაანგარიშებულია შესაბამისი მეთოდიკების (FAO) საფუძველზე. ეკოლოგიური ხარჯის გატარება მთლიანად გათვალისწინებულია თევზსავალ(ებ)ის საშუალებით.

**— საერთაშორისო ინსტიტუტების პრაქტიკით აღიარებული რეგულაციები გარემოსდაცვითი და სოციალური მიმართულებით, ენერგეტიკული პროექტების განხორციელ-ებისას კომპანიას ავალდებულებს შემარბილებელ ღონისძიებებთან ერთად თემში სოციალური საკითხების მიმართულებით გარკვეულ აქტივობებს. კერძოდ რა სოციალურ პროექტებს ახორციელებს კომპანია?**

— ამ მიზნის განსასაზღვრად, პროექტის მიმდებარედ არსებულ სოფლებში, კარდაკარის და სხვადასხვა ჯგუფებთან კონსულტაციის ფორმატ-ით, არაერთი შეხვედრა ჩავატარეთ. შეხვედრების მიზანი ინფორმაციის გაცვლა-გამოცვლა და სოფლებში არსებული საჭიროებების კვლევა იყო. მასზე დაყრდნობით შევიმუშავეთ გეგმა, 3 მნიშვნელოვანი მიმართულებით: საგანმანათლებლო, ინფრასტრუქტურული და სამედიცინო, მათ შორის შშმ პირების დახმარების და მხარდაჭერის პროექტები. ძალიან გვეამაყება ის რომ საგანმანათლებლო პროექტებში ჩართულია USAID და მის პროგრამებთან თანამშრომლობით ვატარებთ ტრენინგებს მოზარდებში ცნობიერების ამაღლების მიზნით. ჩვენთვის მნიშვნელოვანია, ხელი შევუწყოთ ადგილობრივი მოსახლეობის განვითარებას გრძელვადიან პერსპექტივაში, რადგან მდგრადი განვითარება და სარგებლის გადანაწილება ჩვენი ხედვის ამოსავალი წერტილია.

# ბახვი ჰესი – ჩვენ ერთად ვაშენებთ

## ინტერვიუ ბახვი ჰესის დირექტორთან, გიორგი აბრამიშვილთან




**— მოგესალმებით ბატონო გიორგი, როგორ მიმდინარეობს პროექტი და რამდენად ახლოსაა მისი განვითარება დასახულ მიზნებთან?**

— მოგესალმებით და დიდი მადლობა ინტერესისთვის. ჩვენ ადგილობრივ მოსახლეობასთან ერთად ვაშენებთ ჰიდროელექტროსადგურს და შესაბამისად ხელს ვუწყობთ განახლებადი ენერგიის სექტორის განვითარებას, რაც ვფიქრობ, საამაყო იქნება როგორც ჩემთვის პირადად, ასევე, ამ პროექტში პირდაპირ თუ ირიბად მონაწილე თითოეული ადამიანისთვის.

**— თქვენ ახსენეთ, რომ ადგილობრივ მოსახლეობასთან ერთად აშენებთ ბახვი ჰესს, ეს ნიშნავს, რომ მშენებლობაზე დასაქმებული გყავთ ადგილობრივები?**

— დიახ, სწორედ ამას ნიშნავს, რომ ჩვენ ერთად ვმუშაობთ ბახვი ჰესის მშენებლობაზე. ჩვენ მიერ პროექტზე დასაქმებული ნახევრად კვალიფიციური თუ, არაკვალიფიციური თანამშრომლების 50% პროცენტი ადგილობრივი მაცხოვრებლები არიან პროექტის მიმდებარედ არსებული სოფლებიდან, ძირითადად, მთისპირის თემის სოფლების მაცხოვრებლები, მთისპირი, ოქროსქედი, ვანისქედი და უკანავა. ჩვენთან მუშაობენ როგორც ქალები, ასევე კაცები: მამაკაცები სამშენებლო მოედანზე, ქალბატონები კი, სამშენებლო ბანაკში. თუმცა, აქ განვავრცობდი და ვიტყოდი, რომ პროექტს უამრავი გულშემატკივარი ჰყავს, ვინც შეიძლება არაპირდაპირაა ჩართული პროცესში, მაგრამ გული შესტკივა და აკვირდება მის მიმდინარეობასა და განვითარებას. ეს ის ადამიანები არიან, ვისთანაც ჩვენი სოციალური გუნდი აქტიურად ურთიერთობდა და სხვადასხვა სოციალური პროექტის მეშვეობით გვერდში ედგა. ესენი არიან ახალგაზრდები, შშმ პირები, მათი ოჯახები, მცირე და საშუალო ბიზნესის წარმომადგენლები, მედია და არასამთავრობო ორგანიზაციები, სკოლები და ბაღები, პროექტის მიმდებარე სოფლებში მცხოვრები მოსახლეობა, ის ადამიანები, ვისთვისაც ხორციელდება ჩვენი სოციალური პროგრამის საგანმანათლებლო, ინფრასტრუქტურული, ეკონომიკური პროექტები. ამ ხალხთან 3 წლიანი კომუნიკაციით შევძელით ის, რომ დავანახეთ ჩვენი განზრახვის სისწორე და მუშაობის სტანდარტი. დღეს ისინი არანაკლებ ჩართულნი არიან პროცესში, იქედან გამომდინარე რომ ჩვენი მუშაობის სტილი გამჭვირვალობასა და ჩართულობას ეფუძნება, შესაბამისად ჩვენი პროექტები ყველას სწვდება და ფარავს, ყველას ამყოფებს მიმდინარე პროცესების საქმის კურსში. სწორედ ამიტომ, ზუსტად ვიცი, რომ მათაც არანაკლებ აინტერესებთ ის, თუ როგორ განვითარდება პროექტი და რა შედეგებს დავდებთ. განსაკუთრებით გამოვყოფდი, მრჩეველთა საბჭოს წევრებს, მათთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ის თუ, როგორი სტანდარტის იქნება ჰიდროელექტროსადგური, რომლის განვითარებაში პირველივე დღეებიდან არიან ჩართულნი სრულიად უანგაროდ და თავისი რეგიონის სასიკეთოდ.

**— ალბათ განსაკუთრებული ინტერესის სფეროა სამშენებლო მოედანი. მდინარე ბახვისწყლის ხეობა საკმაოდ მოცილებულია დასახლებულ პუნქტს, ის ადგილი სადაც მშენებლობა მიმდინარეობს. ყველას გვაინტერესებს რა ხდება იქ და როგორ გამოიყურება სამშენებლო მოედანი.**

— მესმის, რომ ინტერესი დიდია მოსახლეობაში და სწორედ ამიტომ, ზაფხულში ერთი მნიშვნელოვანი და საინტერესო ვიდეო პროექტი განახორციელეთ. გადავიღეთ ჩვენი თანამშრომლები, რომელთა შრომა უზარმაზარია ამ პროექტის განხორციელებაში. გადავიღეთ მათი სამუშაო გარემო და ასევე, ჩავწერეთ ინტერვიუები, სადაც მშენებლები, ელექტრო ინჟინრები, ტექნიკური დირექტორი, სამშენებლო მოედნისა და უსაფრთხოების, გარემოს დაცვისა და სოციალური საკითხების, ასევე საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერები დეტალურად გვიყვებიან, თუ როგორია მათი სამუშაო რუტინა, კონკრეტულად რა საქმიანობას ახორციელებენ, და რაც მთავარია როგორ, რა სტანდარტით კეთდება ესა თუ ის პროექტი. მრავალმხრივია ჩვენი საქმიანობა და ასევე, ძალიან საინტერესო, რადგან იმ სტანდარტით კეთდება ყველაფერი, რაც სიამაყის საფუძველს გვაძლევს. სწორედ ესაა ასახული ამ ვიდეოებში, რომელთა მედიისა და სოციალური ქსელი ფეისბუქის საშუალებით გავრცელება მოხდება სექტემბრიდან. ვფიქრობ, ეს მასალა ბევრი ადამიანის ინტერესს დააკმაყოფილებს. ამასთანავე, გაიცნობთ იმ პროფესიონალებს, რომლებიც მთლიანად თავის გულს დებენ და ძალისხმევას არ იშურებენ, პროექტის წარმატებულად და მაღალი სტანდარტებით განხორციელებ-ისთვის. სწორედ ამიტომ ვამბობ, რომ ჩვენ ერთად ვაშენებთ საამაყო პროექტს.

## ოზურგეთის კოლორიტები

# ღირსეული ოჯახის ღირსეული შთამომავალი



წელს 100 წელი შეუსრულდებოდა ოზურგეთის კოლორიტს, ღირსეულ პიროვნებას, დიდ ფეხბურთელს ბატონ **კოტე გოგატაძეს.** „მკვდრად იგი თქმულა, ვისაც აქ სახელი არ დარჩენიაო“ – ეს ჭეშმარიტებაა, შენ საკუთარი ცხოვრების არჩევანი აქვე საწუთო სოფელში მოიპოვე სახელი, სახელი რომელიც ყველა მოსახვეჭელზე დიდია. კეთილი, სამართლიანი, კულტურული, სიყვარულის მთესველი და გაჭირვებულთა გვერდში მყოფი იყავი. იცხოვრე ლამაზად, შინაარსიანად და შთამბეჭდავად. სიკვდილი ისეთივე ჭეშმარიტებაა, როგორც სიცოცხლე და ის როცა მოვა, ვისურვებდი ყოველი კაცი ისეთი სახელით წარსდგეს ღვთის წინაშე, როგორც შენ აქ დატოვე, ეს კი მხოლოდ ერთეულთა ხვედრია. დროის დინებას გაჰყვა უკეთილშობილესი პიროვნება ბატონი კოტეც, ოზურგეთელებისთვის უსაყვარლესი, უსპეტაკესი და ერთგული პიროვნება წავიდა და თან წაიღო სიკეთითა და პატიოსნებით სავსე თავგადასავალი, მაგრამ აქ, საწუთო სოფელში, დატოვა კარგი ადამიანობის თვალსაჩინო მაგალითი, ლამაზად განვლილი წუთისოფელი

როდესაც ჩვენ ავღნიშნავთ 100 წლის იუბილეს, გვახსენდება არა მხოლოდ ფეხბურთელი, არამედ პიროვნება, რომლის გავლენამაც ფეხბურთის მოედანს გასცდა და დაგვიტოვა შთამაგონებელი გულშემატკივრებისა და სპორტსმენების თაობები, რომელიც დღემდე გრძელდება. მიუხედავად იმისა, რომ ჩვენთან აღარ არის, მათი მეხსიერება ცოცხლობს იმ ბრწყინვალების უთვალავი მომენტით, რაც მან აჩუქა ფეხბურთის სამყაროს. იგი ფეხბურთელთა იმ თაობას მიეკუთვნება, ომის დამთავრებისას რომ მოვიდა მთავარ გუნდში და საფუძველი შეუქმნა ოზურგეთელთა პირველი გუნდის წინსვლასა და წარმატებებს.



**ზაზა მასხულია, კოტე გოგატაძე**

კოტე ჩვენი ქალაქის ერთ-ერთი ძირძველი და ღირსეული ოჯახის – პანტელეიმონ გოგატაძისა და თამარ ხუნდაძის ვაჟიშვილი იყო, მას ასევე ჰყავდა ძმა – ვასილ (ტუკა) გოგატაძე, რომელიც გამორჩეული იყო, სპორტისა და განათლების სისტემაში, მან ნახევარ საუკუნეზე მეტი ემსახურა ნოდარ დუმბაძის სახელობის №2 საშუალო სკოლის მოსწავლეთა შრომით აღზრდას. მათი მამა გახლდათ აფთიაქის მფლობელი. ის მძიმე სენით დაავადებული პატიმრისათვის, რომელიც იმდროინდელი წყობილებისადმი არ ყოფილა კეთილგანწყობილი, წამლის შეგზავნისთვის წლების მანძილზე ცივ ჩრდილოეთში იყო გადასახლებული. ხოლო დედა, თამარ ხუნდაძე გახლდათ იმ დროინდელი ქალაქის თავის (მერი), აქტიური საზოგადო მოღვაწისა და პირველი აფთიაქარის თავადი – ვასილ ხუნდაძის ქალიშვილი. სწორედ ბატონი ვასილის გაშენებულია ოზურგეთში დღეისათვის ცნობილი „ჭადრების ბაღი“. ფლობდა ლიმონათისა და საპნის ქარხნებს, ნაყინის დამამზადებელ საწარმოს. მის მამულში აშენებული იყო სასულიერო სასწავლებელი.

ბატონი კოტე ოზურგეთის „დინამოში“ მისვლამდე 1937-1941 წლებში ოზურგეთის ჭაბუკ ფეხბურთელთა გუნდ „სიხარულში“(მწვრთნელი გიორგი თოხაძე) გამოდიოდა, სადაც თანაგუნდელებთან ერთად კარგ შედეგებს



**ოზურგეთის „სიხარული“ საქართველოს თასის მფლობელი. 1960 წ.**
(მეორე რიგში მარჯვნიდან პირველი) **კოტე გოგატაძე**

აჩვენებდა რესპუბლიკურ შეჯიბრებებში. ამ გუნდის აღზრდილები გახდნენ ოზურგეთის „დინამოს“ ძირითადი ბირთვი. ფეხბურთელთა გუნდში პერსპექტიული ფეხბურთელი შეუმჩნეველი არ დარჩენია თბილისის „დინამოს“ თავკაცებს და საქართველოს პირველ გუნდში მიიწვიეს თავმდასხმელი კოტე გოგატაძე.

1946 წელს ოზურგეთის „დინამო“ ნაკრების სახელით საქართველოს პირველობაზე კვლავ I კატეგორიის გუნდებთან გამოდიოდა და წარმატებასაც მიაღწია, (მესამე ადგილი) გუნდის ამ წარმატებებში კი დიდი წვლილი სწორედ კოტე გოგატაძეს მიუძღვოდა. მისი დებიუტი თბილისის „დინამოს“ ძირითად შემად-გენლობაში 1948 წლის 27 მაისს შედგა მოსკოვის „ტორპედოსთან“ მატჩში და სპეციალისტების დიდი მოწონება დაიმსახურა. მასზე დიდ იმედებს ამყარებდნენ. „მეორე ღოღობერიძე“ გამოჩნდაო– ამბობდნენ. უიღბლო გამოდგა მომდევნო მატჩი ლენინგრადში, ადგილობრივ „დინამოსთან“, რადგან მან საბედისწერო ტრავმა მიიღო და გამოეთხოვა საქართველოს პირველ გუნდს, ხოლო 1949-53 წლებში იგი ოზურგეთის ნაკრების მოთამაშე მწვრთნელი, იმავდროულად გუნდის კაპიტანი იყო. ოზურგეთელთათვის სამახსოვრო იყო კოტე გოგატაძის ინიციატივით გამართული ამხანაგური მატჩი თბილისის „დინამოსთან“, რომლის შემადგენლობაში ბორის პაიჭაძე გამოვიდა.

1954 წლიდან სპორტსაზოგადოება „კოლმეურნეს“ ჩაუდგა სათავეში. წლების მანძილზე იყო ოზურგეთის ცენტრალური სტადიონის დირექტორი. ამავე წელს საქართველოს „კოლმეურნის“ ჩემპიონები გახდნენ და ოზურგეთლები ზედიზედ ფლობდნენ გარდამავალ თასს. სწორედ მისი დამსახურება იყო ისიც, რომ 1956 წელს სპორტსაზოგადოება „კოლმეურნის“ პირველობის გათამაშების ფინალური შეხვედრები ქალაქ ოზურგეთში გაიმართა. 1954-67 წლებში კი ოზურგეთის გუნდი სპორტსაზოგადოება „კოლმეურნის“ 9- გზის ჩემპიონი გახდა.

ასევე დიდი წვლილი შეიტანა 1967 წელს „მერცხალის“ საქართველოს ჩემპიონად გახდომის შემდეგ სტადიონ „მეგობრობის“ რეკონსტრუქციაში. იგი აკაკი გობრონიძესთან ერთად სარეკონსტრუქციო სამუშაოების ერთ-ერთი ხელმძღვანელი იყო. შემდეგ კი „მერცხალის“ დიდი გულშემატკივარი წარმატების თუ წარუმატებლობის ჟამს.

ჰყავდა შესანიშნავი მეუღლე ქალბატონი მარიამი, ბატონმა კოტემ და ქალბატონმა მარიამმა დატოვა ორი შესანიშნავი ქალიშვილი ნუნუჩი და ქეთევანი, ქალბატონები, რომლებიც ღირსეულად აგრძელებენ მშობლების ცხოვრებას, მიაბიჯებენ და თესენ სიკეთისა და თანადგომის უკვდავ მარცვლებს, უფალმა დაუმკვიდროს ბატონ კოტეს და ქალბატონ მარიამს ცათა სასუფეველი და „მისცეს ადგილი წვანილოვანსა, სადაც მართალნი განისვენებენ“ მათ დანატოვარს კი დიდხანს ჰქონოდეს შესაძლებლობა თავიანთი ნაამაგარი და უკეთილშობილესი მშობლების მოგონების.

ოზურგეთის კოლორიტი, ღირსეული პიროვნება, ბატონი კოტე გარდაიცვალა 1996 წელს. კაცი, რომელიც დააკლდა ქალაქს. მისმა უფროსმა მეგობარმა, ვალერიან გეგიაძემ გამოსათხოვარ სიტყვაში ასე მოიხსენია – „მაინც რა თილისმა გქონდა ისეთი, რომ ყველას უყვარდი და ყველა გიყვარდა“.

აი ასეთი ადამიანები ქმნიდნენ ოზურგეთის ისტორიას.

ახლახან გამოიცა წიგნი ანდრია გაჩეჩილაძის ავტორობით „დინამო 100 წლისაა“, რომელშიც მოთავსებულია სტატია ბატონი კოტეს ცხოვრებისა და ღვაწლის შესახებ. ავტორი შესანიშნავად და ამომწურავად გვესაუბრება ამ კარგ მამულიშვილზე, მიმოიხილავს მისი ცხოვრების ძირითად ასპექტებს და ჩვენ, თანამედროვეებს ნათელ სურათს გვაძლევს იმისა, თუ როგორ უნდა იდგეს ქვეყნისა და ერის სამსახურში ჭეშმარიტი მოქალაქე. ჩვენ ბატონი კოტეს ახლობლები და შთამომავალნი, უდიდეს მადლობას მოვახსენებთ წიგნის ავტორს ბატონ ანდრიას და შემდგომშიც ვუსურვებთ მრავალ წარმატებას პირად თუ საზოგადოებრივ საქმიანობაში.

**ხარიტონ ჩხატარაშვილი**



**ოზურგეთის „მერცხალი“.** მარჯვნიდან მარცხნივ (ზედა რიგი): **კოტე გოგატაძე,** (სპორტსაზოგადოება „კოლმეურნეს“ და ფეხბურთის რაიონული სექციის თავმჯდომარე) **გოგა ნორაკიძე,** (მთავარი მწვრთნელი), **ომარ გორგოშიძე,** (მეკარე) **რომან გაგუა, როლანდ ისიანი, რონი შარაშენიძე, გელა როგავა, იური პალტაჩიძე, მიხეილ გიორგაძე, ტუშა ბახტაძე, მიხეილ გორდელაძე,** (გუნდის უფროსი), **გვარამაძე** .(ადმინისტრატორი);
ქვედა რიგში: **ლერი თურმანიძე, სლავა ოვჩინიკოვი, ენვერი დოლიძე, ნოდარ ჩხარტიშვილი, პაპუნა ნემსაძე, თენგიზ მეტრეველი, ჯონი კაკალაძე .**
(სსრ კავშირის პირველობა ბ კლასი 1971 წ.)

# ილია და გრიგოლ ორბელიანი



დედაჩემმა, მიუხედავად სოლიდური ასაკისა, გაზეთ „ალიონის" მეხუთე გვერდი ერთი ამოსუნთქვით წაიკითხა.

გაზეთი ფრთხილად გადაკეცა, მუხლებზე დადო კი არა, დაასვენა. მომიბრუნდა და ჩემთვის მოულოდნელად, როგორც იცის წყნარად, მაგრამ კარგად რომ გავიგონებ, ისე თქვა: „შენ ადგილას მე მამათა და შვილთა ბრძოლას" უთუოდ გავაგრძელებდი.

ჰოდა, მეც ვაგრძლებ.

მაშ ასე, ორი „მატიანეს" კალენდრით, 1872 წლის 28 იანვრამდეა. ილია ჭავჭავაძის „გამოცანების" და „კიდევ გამოცანების" გამო გრიგოლ ორბელიანი წერს და ხელნაწერის სახით ავრცელებს ლექსს „პასუხი შვილთა". მოდი, აქვე შევნიშნავ, „პასუხი შვილთა" ავტორის სიცოცხლეში არ გამოქვეყნებულა, და ამას მე კი არა ილიას მატიანეს შემდგენლები ამბობენ

ამასობაში 1873 წლის 12 ივლისია. „გაზეთ „დროებაში" სხვა მოღვაწეებისადმი მიძღვნილი შარჟების გვერდით იბეჭდება მისდამი მიძღვნილიც — ეს არის ამონარიდი ილია ჭავჭავაძის „გუთნისდედიდან": „*მე ჩემის ჭირის, ჩემის წუხილის, / ჩემის კაცობის გულის დუღილის / სიტყვანი გულში მებადებიან, / მაგრამ გულშივე უხმოდ ჰკვდებიან*"

აბა, უხმობისა რა მოგახსენოთ შემდეგი ამბის ცნობისას?!

1873 5 ოქტომბერა. „გრიგოლ ორბელიანის ლექსს „პასუხი შვილებთა", რომელიც დაიწერა ილია ჭავჭავაძის „გამოცანების" საპასუხოდ, სერგეი მესხი უგზავნის აკაკი წერეთელს მისთვის ჩვეული „მახვილი და შხამიანი" პასუხის გასაცემად." უნდა მოგიბოდიშოთ - „მახვილი და შხამიანი" პასუხის" ამბავისა მე არაფერი ვიცი... ორი ახალი თემა შემოდის ილიასა და გრიგოლ ორბელიანის ურთიერთობის და მე, არცთუ სიამოვნებით გამცნობთ. საქმე სადგილმამულო ბანკს და ქართულ თეატრს ეხება...

„მატიანეს" კალენდრით 1874 1 დეკემბერია გრიგოლ ორბელიანი თბილისიდან თემირხანშურაში წერილს უგზავნის ბიძაშვილის შვილს, ნიკოლოზ ზურაბის ძე ჭავჭავაძეს „.... სწერს, რომ ილია ჭავჭავაძე პეტერბურგშია წასული ბანკის საქმეებზე, მაგრამ თავად გრიგოლი ამ საქმეს სკეპტიკურად უყურებს...". და მოდით, აქვე: 1875 4 აპრილს „თბილისის თეატრში ესწრება სალიტერატურო მუსიკალურ საღამოს. არ მოსწონს რაფიელ ერისთავისა და დიმიტრი ყიფიანის მიერ წაკითხული ლექსები, მაგრამ მოსწონს დავით ერისთავის, ილია ჭავჭავაძისა და აკაკი წერეთლის გამოსვლები. ილია ჭავჭავაძე კითხულობს გრიგოლ ორბელიანის „ონიკოვის დარდებს".

და აბა ისე როგორ იქნება „ონიკოვი" დედას არ მოვასმენინო?!

ცოტა გრძელი კია, მაგრამ.. დედაჩემმა ჩემი წაკითხულიც კი გულისყურით მოისმინა... მხრით მომეკრო და ლოყაზე მაკოცა.

„ვისმენთ"

... ნაწყვეტს მხოლოდ...

გრიგოლ ორბელიანი

*დიმიტრი ონიკაშვილის დარდები*

*როდის მობრძანდებით, ჩემო ბატონო,*
*ფეხ-ქვეშ გაგეშალო ფიანდაზადა!..*
*სავათნავა*
*ეშხისაგან გონება გამოცლილსა,*
*მზე ბრწყინავს, თუ თოვლი მოდის არ მესმის!*
*განა ღამით ძილი არის-ღა სადმე,*
*ანუ დღისით განსვენება სულისა?*
*ან ვიღასა აგონდება სადილი,*
*ანუ ღამით აბანოში ლხინები?..*
*...ქუდ ჩაკეცით, ყელზე ჩით-მერდინითა,*
*რა ქვა-ქვით გავსწევ ორთაჭალისკენ!*
*მტკვრის პირს, ჩარხთან, თავის ლაზათებითა,*
*სუფრა გაშლით, დამხვდნენ იქ დარდი მანდნი;*
*იქა მნახონ, რა შევქმნილვარ, ვინა ვარ,*
*რა მადანი მაპოვნია ბედისა!*
*საკინძ ჩამოხსნილი, ხელში ჯამითა*
*სიხარულით ვსვამდე შენ სადღეგრძელოს!*"

რატომ ეს ორი და სხვა არა?!

დედას ესენი მოეწონა ყველაზე მეტად და წაიკითხავს კიდევ ერთხელ გამოვა თუ არა გაზეთი.

ვაგრძელებ, თუმცა, მანამდე ბარემ ვთქვათ: 1875 22 აპრილს „თბილისის საზაფხულო თეატრის სცენაზე გამართულ სალიტერატურო-მუსიკალურ საღამოზე ილია ჭავჭავაძე, ქართველ პოეტთა სხვა ლექსებთან ერთად, კითხულობს გრიგოლ ორბელიანის „ონიკოვის დარდებს".

ჯერ მხოლოდ 1875 წლის 19 აპრილია და თბილისში გამართულ სალიტერატურო საღამოზე, სხვა თხზულებებთან ერთად, ილ-ია ჭავჭავაძე კითხულობს გრიგოლ ორბელიანის ლექსს „იარალის".

და რას ვაკეთებ ჩვენ ამ დროს?

ვკითხულობთ, დიდია და სწორედ ამიტომ არასრულად:

**„იარალის**

*ვა? მას მტერსა, ვის ანუ კლდენი,*
*ანუ ტყეთ სიღრმე ვერ დაჰფარვიდნენ,*
*ვითა შურდულებრ, ტრედთ შავარდენნი*
*მიესეოდნენ და შემუსვრიდნენ.*

*დავნატრი მათ, ვინც თვისი სიცოცხლე თვისსა მამულსა*
*შეჰსწირა მსხვერპლად,*
*დავნატრი დროთა, როს აქვნდათ ტრფობა მამულისადმი*
*გულს აღბეჭდილად,*
*როს ერთგულება, სარწმუნოება,*
*ივერთ თვისებას შეადგინებდნენ,*
*ოდესცა ბრძოლა და მამაცობა*
*მათსა სახელსა განადიდებდნენ...*"

სხვათაშორის, 1876 14 მარტს, ილია ჭავჭავაძე გაზეთ „დროებაში" გამოქვეყნებულ თავის სტატიას „ზოგიერთი რამ" ეპიგრაფად წაუმძღვარებს ტრანსფორმირებულ ფრაზას გრიგოლ ორბელიანის ლექსიდან „იარალის": „*თქმით ჭმუნვა მაინც შემცირდებისა...*" (შდრ. ორბელიანთან: „მაგრამ მოთქმითა ნუგეშ-ეცემის და ჭმუნვა მითცა შემცირდებისა").

და აქა ამბავი, მეტად დაუჯერებელი, მაგრამ ნაღდად მომხდარი ამბისა:

1876 1 ივნისამდე გრიგოლ ორბელიანი „წერილს უგზავნის ბიძაშვილის შვილს, იოსებ კონსტანტინეს ძე ორბელიანს, და სთხოვს, თუ ნახავს ილია ჭავჭავაძეს, გადასცეს მისი თხოვნა: უშუამდგომლოს თავის ქვისლთან, დიმიტრი სტაროსელსკისთან, რომ ბაქოს სახაზინო პალატაში მოლარედ მომუშავე, ადრე გრიგოლთან ნამსახურევი გასპაროვი, რომელიც თბილისში სამკურნალოდ იყო ჩასული, სამსახურიდან არ დაითხოვონ".

არ დაითხოვა?

დაითხოვა?

ამის შესახებ მე არაფერი ვიცი. კიდევ ბევრი რამ არ ვიცი, მაგრამ რაც ახლა უნდა გითხრათ, ვერაფრით მოიცდის და მე რაღაცნაირად აღტკინებით გაგახსენებთ/გამცნობთ:

1878 30 იანვარა გრიგოლ ორბელიანის „სახლში იკრიბებიან ილია ჭავჭავაძე, ლევან მელიქიშვილი, გიორგი რევაზის ძე ერისთავი, ივანე ბაგრატიონ-მუხრანელი, ალექსანდრე საგინაშვილი და სხვა პირები „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების" წესდების პროექტის განსახილველად და ტექსტს ამზადებენ მთავრობისთვის წარსადგენად".

უფ, რა საგაზეთო სტატიებში ციკლია! არის და დავუბრუნდები სულ სხვა


ფსალმუნი.

ვინა აღვიდეს მაღალსა მას მთასა წმიდასა,
სადა ჰგალობენ ანგელოზნი ღვთისა დიდებას?...
— სულითა წრფელი, მშვიდი გულით, ფიქრით განწმენდილ,
ვის არ შეეხო ზაკვის გესლი ძმისა განკითხვად,
და სიყვარულით შეიწყალა ცდომილი ვნებით...
ვინცა ამ სოფლის დიდებასა, მზეებრ მნათობსა,
მონებრ არ მიჰსდევს, ჰსცნობს რა მისს შუქს ფუჭ-წარმავალსა;
ვინც ძლიერსას ხმითა მაღლით ამცნო სიმართლე
და ძმას დაცემულს მიჰსცა ხელი და აღადგინა!...
იგი აღვიდეს მაღალსა მას მთასა წმიდასა
ღვთისა დიდების გალობითა ნათელ-მოსილი.

თ. გრ. ორბელიანი.

25 ივნისს 1879 წ.

დროსა და ვითარებაში, ახლა 1878 27 დეკემბერის ამბავს გაგახსენებთ/გამცნობთ. სწორედ ამ წელს, თვეს და დღეს „პლატონ იოსელიანის ნარკვევის — „ცხოვრება მეფისა გიორგი მეცამეტისა" ტექსტთან ერთად (გრიგოლ ორბელიანი) ილია ჭავჭავაძეს უგზავნის მოკლე წერილს, რომლითაც სთხოვს, გამოყენების შემდეგ უკან დაუბრუნოს.

ისევ ქართული თეატრი და...


მიხეილ საბინინი

1879 18 მაისამდე გრიგოლ ორბელიანი „იღებს მოსაწვევს ილია ჭავჭავაძისგან, რომლითაც ეპატიჟება 18 მაისს ქართული თეატრალური საზოგადოების დამფუძნებელ კრებაში მონაწილეობის მისაღებად. 1879 18 მაისი წერილს უგზავნის ილია ჭავჭავაძეს და ატყობინებს, რომ თეატრთან დაკავშირებით გამართულ კრებაზე ვერ მივა, რადგან უნდა დაესწროს ქრისტიანობის აღმდგენი საზოგადოების სხდომას. სწერს, რომ ქართული თეატრის აღდგენა ნაადრევად ეჩვენება, რადგან არ არსებობს შენობა და არ ჰყავთ პროფესიონალი მსახიობები" და აქვე, ოღონდ თარიღის ზუსტი მინიშნებით: 1879 18 მაისს ილია „გრიგოლ ორბელიანისგან იღებს საპასუხო წერილს, რომლიდანაც იგებს, რომ თეატრთან დაკავშირებით გამართულ კრებაზე ვერ მივა, რადგან უნდა დაესწროს ქრისტიანობის აღმდგენი საზოგადოების სხდომას. ქართული თეატრის აღდგენა ადრეა, რადგან ჯერ არ არსებობს შენობა და არ გვყავს პროფესიონალი მსახიობები".

და მე მჯერა გრიგოლ ორბელიანის და მაინც...

მოდით, თემას შევცვლი და 1879 25 ივნისის ამბავს გაგახსენებთ/გამცნობთ: გრი-




გოლ ორბელიანი ილია ჭავჭავაძეს წერილთან ერთად უგზავნის ახლადდაწერილ ლექსს „ფსალმუნი", მოკრძალებულად სთხოვს, რომ იგი მეუღლეს – ოლღა გურამიშვილსაც წააკითხოს და, თუ მოეწონებათ, გამოაქვეყნოს."

ვკითხულობთ, სრულად და რამდენადაც შეგვიძლია, გამოთქმით:

**ფსალმუნი**

*ვინა აღვიდეს მაღალსა მას მთასა წმიდასა,*
*სადა გალობენ ანგელოზნი ღვთისა დიდებას?...*
*— სულითა წრფელი, მშვიდი გულით, ფიქრით განწმენდილ,*
*ვის არ შეეხო ზაკვის გესლი ძმისა განკითხვად,*
*და სიყვარულით შეიწყალა ცდომილი ვნებით...*
*ვინცა ამ სოფლის დიდებასა, მზეებრ მნათობსა,*
*მონებრ არ მიჰსდევს, ჰსცნობს რა მისს შუქს ფუჭ-წარმავალსა;*
*ვინც ძლიერებას ხმითა მაღლით ამცნო სიმართლე*
*და ძმას დაცემულს მიჰსცა ხელი და აღადგინა....*
*იგი აღვიდეს მაღალსა მას მთასა წმიდასა*
*ღვთისა დიდების გალობითა ნათელ-მოსილი.*

**თ. გრ. ორბელიანი.**
25 ივნისს 1879 წ."

და მეტად საყურადღებო ამბავი!

1879 3 ნოემბერს „მიხეილ საბინინის წერილთან ერთად (გრიგოლ ორბელიანი) ბარათს უგზავნის ილია ჭავჭავაძეს და სთხოვს წერილის ადრესანტის დახმარებას საქართველოს ეკლესიის ისტორიის გამოცემასა და ლაიფციგიდან ქართველ წმინდანთა გამოსახულებების შესყიდვაში. ფიქრობს, რომ ბანკის წევრთა საერთო კრების დალოდებით ან ხელმოწერებით თანხის შეგროვებით საქმე გაჭიანურდება. ამიტომ სთხოვს, ეს გადაწყვეტილება ბანკის საერთო კრების თანხმობის გარეშე მიიღოს".

მიხეილ საბინინის ბიოგრაფიით ინტერესდება დედა!

ვიმედოვნებ, თქვენც და მეც გახსენებთ/გამცნობთ:

### ბერი გობრონი

#### ბიოგრაფია

მიხეილ საბინინი დაიბადა ტვერელი მღვდლის პავლე საბინინისა და ეკატერინე მირზაშვილის ოჯახში. 1868 წლამდე სწავლობდა თბილისის კლასიკურ გიმნაზიაში, შემდეგ პეტერბურგის სასულიერო აკადემიაში. მისმა სადიპლომო ნაშრომმა "საქართველოს ეკლესიის ისტორია მე-6 საუკუნის ბოლომდე" საგამოცდო კომისიის მაღალი შეფასება დაიმსახურა. პეტერბურგში სწავლის პერიოდში იგი დაუახლოვდა რუსეთში გადასახლებულ სამეფო ოჯახის შთამომავლებს, განსაკუთრებით მჭიდრო ურთიერთობა ჰქონდა გიორგი XII-ის შვილიშვილთან იოანე გრუზინსკისთან, ქართველ მეცნიერ დიმიტრი ჩუბინიშვილთან, ქართველოლოგ მარი ბროსესთან და სხვ. ბერად აღიკვეცა პეტერბურგში და სახელად აირჩია გობრონი. 1871 წელს რუსულად გამოაქვეყნა „ქართული ეკლესიის წმინდანების ცხოვრებათა სრული აღწერილობა"; 1877 წელს, ასევე რუსულად - „ქართული ეკლესიის ისტორია", 1882 წელს „საქართველოს სამოთხე". მიხეილ საბინინმა თავდაუზოგავი შრომით დაიწყო მასალების მოძიება-შეგროვება და ერთ წიგნად გამოსცა ორმოცდაათამდე წმინდანის ცხოვრება და მოღვაწეობა — სათაურით: „საქართველოს სამოთხე". წიგნი პეტერბურგში გამოიცა. ამ წიგნის წინასიტყვაობაში მიხეილ საბინინი აღნიშნავდა: „პატიოსანო მკითველო. საქართველოს ეკლესიის დავრდომილებამ და სრულიად დამხობილებამ მისმან, მაიძულა დიდის გულსმოდგინებით დამბეჭვდაი ამ წიგნისა, რომელსა უწოდე სახელად „საქართველოს სამოთხე". ამ წიგნისა ამის მეორე, არცა დაბეჭდილი არცა ხელნაწერი არა სადა იპოების, ესრე ვრცელ და სრული, ვითარ ეს წიგნი". სამწუხაროდ მიხეილ საბინინს და მის კრებულს „საქართველოს სამოთხე" ბევრი მტერი გამოუჩნდა. გამოუცხადეს ბოიკოტი და წიგნი არ იყიდებოდა. მიხეილ საბინინს, როგორც ხატმწერს ეკუთვნის არაერთი ხატი, მათ შორის ცნობილი „საქართველოს დიდება" ("ქართული ეკლესიის დიდება"), რომლის ლითოგრაფიაც პირველად ლაიფციგში (1889) და შემდეგ ბერლინში (1895) დაბეჭდა. მის



სახელთანაა დაკავშირებული ბოდბის ტაძრის განახლება და დედათა მონასტრის დაარსება. ტაძრის სამრეკლოს დაედგა გუმბათი და მონასტერს დაუბრუნდა მისი კუთვნილი დიდძალი ნივთები, მათ შორის ცხრამეტფუთიანი ჯვარი. მონასტერთან დააარსა სახელსაქმო სკოლა სიღნაღის მკვიდრი ღარიბი ყმაწვილებისათვის. მიხეილ საბინინმა დიდი შრომა გასწია გარეჯის მონასტრის მოვლა-მოწესრიგებისათვის. მონასტერში ჩაიტანა პეტერბურგსა და მოსკოვში შეძენილი ძვირფასი ნივთები, რომელთა შორის გამოირჩეოდა ამერიკული ნიგვზის მოოქრული და მომინანქრებული კანკელი, დავით გარეჯელის საფლავის საფარი-შესამოსელი, ჯვრები, სხვადასხვა საეკლესიო ჭურჭელი. 1881 წელს მისი ინიციატივით, დოდორქის დანგრეული მონასტრიდან დავითის ლავრაში გადმოასვენეს უყურადღებოდ მიტოვებული დოდო გარეჯელის წმინდა ნაწილები. მიხეილ საბინინი ფილტვების ანთებით 1900 წლის 10 მაისს გარდაიცვალა მოსკოვში. მისი სურვილი, დაკრძალულიყო საქართველოში, დავით გარეჯში, არ შესრულდა. (მიხეილ საბინინის ფოტოს მოძიება მოხდა მცხეთის სამთავროს წმინდა ნინოს სახელობის დედათა მონასტრის წინამძღვარის, იღუმენია ქეთევანის (კოპალიანი) ძალისხმევით). ხატმწერი.

წყარო: alia.ge; resonancedaily.com

ბიბლიოგრაფია

საქართველოს სამოთხე : სრული აღწერაი ღუაწლთა და ვნებათა საქართუელოს წმიდათა / შეკრებილი ხრონოლოგიურად და გამოცემული პეტერბურღის სასულიერო აკადემიის კანდიდატის ივერიელის გობრონ (მიხაილ) პავლის ძის საბინინის მიერ (ავტორი). - პეტერბურღი, тип. Имп. Акад. Наукъ, 1882. - 639 გვ.

გპირდებით, გობრონ(მიხაილ)საბინინს მე კიდევ დავუბრუნდები, თუმცა მანამდე „მატიანეს" კალენდარი 1880 10 იანვარზე უნდა „ჩამოვსქროლო": სწორედ ამ წელს, ამ თვესა და ამ რიცხვში გრიგოლ ორბელიანი ესწრება ქშწ-კგ საზოგადოების გამგეობის სხდომას ილია ჭავჭავაძესთან, რაფიელ ერისთავთან, ნიკო ცხვედაძესთან, დიმიტრი ყიფიანთან, ივანე მაჩაბელთან და სხვებთან ერთად.

სიმართლე გითხრათ, არ ვიცი ვინ სედიან „სხვებთან ერთადში", მაგრამ უკვე ჩამოთვლილებს, თუნდაც სიმბოლურად კი უნდა წამოუდგეს კაცი ფეხზე და თუნდაც ასე სცეს დამსახურებული პატივი!!!

და აი, 1880 24 ნოემბერი! გრიგოლ ორბელიანი „მონაწილეობს ქართული მწერლობის მოყვარულთა პირველ ყრილობაში. განიხილავენ „ვეფხისტყაოსნის" რედაქციისა და გამოცემის საკითხებს. რედაქციის გამგედ ირჩევენ გრიგოლ ორბელიანს, თანაშემწეებად - ილია ჭავჭავაძესა და რაფიელ ერისთავს.".

აი, აქ საუბარი დროებით უნდა შევწყვიტო.

დაწერილს დედას წავუკითხავ,

შენიშვნები თუ ექნება, სიამოვნებით გავითვალისწინებ და გაზე „ალიონს" სიამოვნებით გავუგზავნი!

**გიო კილაძე**

# „მივმართავთ მოქალაქეებს –სიმპტომური და ლაბორატორიული ცვლილებების შემთხვევაში მოგვმართონ“



**ალიონი.** როდესაც თირკმელი სათანადოდ ველარ ფუნქციონირებს, ინიშნება დიალიზი. მისი მთავარი დანიშნულება ხელოვნური გზით ორგანიზმიდან ნივთიერებათა ცვლის ნარჩენი პროდუქტებისა და ჭარბი სითხის მოშორებაა.

ოზურგეთის ნეფროლოგიისა და ჰემოდიალიზის ცენტრი 2014 წლიდან ფუნქციონირებს, გეგმიურ რეჟიმში ემსახურება სახელმწიფო პროგრამაში ჩართულ პაციენტებს.

გაზეთ „ალიონს“ ოზურგეთში დიალეზის პროგრამის შესახებ ცენტრის განყოფილების გამგე, ნეფრ-ოლოგი **ქეთევან თავაძე** ესაუბრა:

*– ჩვენს ცენტრს შეუძლია 48 პაციენტს მოემსახუროს. ამჟამად გვყავს 45 პაციენტი. გვაქვს ასევე ამბულატორიული მიღება.*

*დიალიზის პაციენტს შეუძლია იმოგზაუროს და მოგზაურობის დროს ჩაიტაროს დიალიზი საქართველოში არსებულ ნებისმიერ სადიალიზო განყოფილებაში, ამის მაგალითი ზაფხულში გვქონდა, როცა დასასვენებლად ჩამოსული დიალიზზე მყოფი პაციენტები ოზურგეთის ჰემოდიალიზის ცენტრით სარგებლობდნენ.*

*თირკმლის ქრონიკული დაავადება, რომელიც პროგრესირებს, საბოლოოდ ყალიბდება თირკმლების ტერმინალური უკმარისობა. ამის საფუძველი მრავალი დაავადებაა, როგორც პირველადი, ისე მეორადი. კლინიკური ნიშნები დამოკიდებულია გამომწვევ მიზეზზე. დაავადების მიმდინარეობა ასევე შეიძლება იყოს უსიმპტომო და შემთხვევით გამოვლინდეს შარდის ანალიზის რუტინული გამოკვლევისას.*

*თირკმლის ქრონიკულ დაავადების დროულ გამოვლენას დიდი მნიშვნელობა აქვს, რადგან დაავადება არ გართულდეს თირკმლის ტერმინალურ უკმარისობამდე, როდესაც სასიცოცხლო ჩვენებით იწყება ჰემოდიალიზი.*

*ჰემოდიალიზის დროს სისხლიდან ურემიული ტოქსინების წმენდა წარმოებს „ხელოვნური თირკმლის“ აპარატის მეშვეობით.*

*მივმართავთ მოქალაქეებს –სიმპტომური და ლაბორატორიული ცვლილებების შემთხვევაში მოგვმართონ, რათა თავიდან ავიცილოთ შემდგომი გართულებები –გვითხრა ქეთევან თავაძემ.*

ოზურგეთის ნეფროლოგიისა და ჰემოდიალიზის ცენტრის კარგ მუშაობაზე ჩვენთან საუბარში მეცენატმა **ოლეგ გობრონიძემ** და სოფელ მთისპირში (უკანავა) მცხოვრებმა **ანზორ შავაძემაც** აღნიშნეს.

*—წარმოიდგინეთ, როგორ რთულ წლებში უწევდათ მოქალაქეებს ბათუმის ჰემოდიალიზის ცენტრით სარგებლობა. მგზავრობას ნახევარი დღე მიჰქონდა. უკვე 10 წელია ოზურგეთში ეს პრობლემა აღარ არსებობს, პირიქით აქ კვალიფიციური მომსახურებაა —გვითხრეს მათ.*

# წარმატებული სვლა გრძელდება – საქართველოს ნაკრებმა ალბანეთსაც სძლია!

7 სექტემბერს, შინ ჩეხების ნაკრების (4:1) დამარცხების შემდეგ, ერთა ლიგის მეორე ტურში საქართველოს ნაკრებმა გასვლაზე ალბანეთი 1:0 დაამარცხა.

ჩვენი გუნდის მწვრთნელმა სანიოლმა სასტარტო შემადგენლობა ისევ არ შეცვალა, თავიდან ტემპი მაღალი არ იყო, ორივე გუნდი ფრთხილობდა, გამწვავებაზე წასვლას ერიდებოდნენ, პირველი სახიფათო მომენტი „ჯვაროსნებმა“ შექმნეს, მაგრამ ფლანგიდან კაკაბაძის ჩაწოდებულ ბურთს კვარაცხელია ვერ მისწვდა. შემდეგ მიქაუტაძემ ოდნავ ააცილა ბურთი კარს.

მეორე ტაიმში საქართველოს ნაკრები გააქტიურდა: შანსი მიქაუტაძემ ვერ გამოიყენა. მერე მისი დარტყმული ბურთი ისმაილიმ დაბლოკა, ხოლო კაკაბაძემ მიზანს ვერ უწია. 71-ე წუთზე კი ქოჩორაშვილმა შორიდან დალაშქრა სტრაკოშას კარი. სანიოლმა ჯერ კვარაცხელია დავითაშვილით, ხოლო შემდეგ მიქაუტაძე ზივზივაძით შეცვალა. 88-ე წუთზე ზურიკო მცველებს გაექცა და მისი დარტყმული ბურთი სტრაკოშამ მოიგერია. ცოტა ხანში მეკარემ გატანა ჩაკვეტაძეს არ დაანება და უკეთესმა გუნდმა მშვიდი, აკადემიური სტილით ისე გაიმარჯვა, რომ მეტოქეს კარში არ დაარტყმევინა.

ჩვენი გუნდი 6 ქულით ლიდერია და მომდევნო შეხვედრას 11 ოქტომბერს პოზნანში პოლონეთთან გამართავს.



# სკანვორდი



| | | | | | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | | | | იტალიური საფეხბურთო გუნდი | | | მარცვლეული | | მუზეუმი პარიზში | | | | ტბა თბილისთან |
| | | | | | | | | | | | | | | | | |
| | | | | | | | | | | | | | | | | |
| | | | | | | | | | | | | | | | | |
| | | | | | | | | | | | | | | | ყალიონი | |
| | | | | | | | | | | | | | წრიული ფრენა | | | |
| ფულის ერთეული შვეიცარიაში | | ხაჭაპურის სახეობა | იაპონური ანიმე | | | | | | | | | | | | | |
| | | | | | | | სახელმწიფო მმართველობის სახე | | | | ხალხური სიმღერა | | | | | |
| | | | | პურის ბოლო ნაწილი | | | | სუპერკონტინენტი | | | მოტობრენდი | | | შტატი ამერიკაში | | |
| | | | | | | | | | მონარქის სახელმწიფო | | | | | | | ვენესუელის დედაქალაქი |
| | | | | თევზის ჯიში | | | | | | | | | ინგლისური საფეხბურთო გუნდი | ვიკინგური მითოლოგიის ღმერთი | | მუშკეტერის იარაღი |
| | | მაიმუნის ჯიში | | | | | | | ჩრდილი | | დოვლათი | | | | | |
| | ..... ზარანდია | | | | | დაცემული ქალაქი | | | | | | | | | | ზღვის ფრინველი |

## პასუხები:

სურათზე: პაოლო იაშვილი; სუპერკონტინენტი –გოდვანა; ქართული ხალხური სიმღერა –შავლეგო; მონარქიული სახელმწიფო –ბრიტანეთი; მარცვლეული –ბარდა; იტალიური საფეხბურთო გუნდი -მონცა; სამეფო ხელისუფლება – მონარქია; ანიმე (იაპონური)-ნარუტო; 99–ფრანკი; დაცემული ქალაქი –ტროა; პურის ბოლო ნაწილი –ყუა; თევზის ჯიში –მურწა; დოვლათი-ბარაქა; ჩრდილი-ლანდი; ინგლისური საფეხბურთო გუნდი–ბრაიტონი; ზღვის ფრინველი-ალბატროსი; მუშკეტერის იარაღი –დაშნა; მოტოს ბრენდი –კავასაკი; მუზეუმი პარიზში –ლუვრი; წრიული ფრენა –ირაო; ვიკინგური მითოლოგიის ღმერთი –თორი; შტატი ამერიკაში –ილინოისი; ყალიონი –ჩიბუხი; ტბა თბილისთან –ლისი; ვენესუელას დედაქალაქი –კარაკასი.

# ორწვერზე დაშვებისას უფლის წყალობაზე და თამაზ ბაქანიძის გამოცდილებაზე ვიყავით დამოკიდებულები



მწ. ორწვერი. მარცხნიდან რევაზ ცქვიტინიძე, ნუგზარ ასათიანი, თამაზ ბაქანიძე

კავკასიონი ჩვენი მცირე ალპინისტური ისტორიიდან 1997 წლის ფერისცვალებას გადახდენილი თავგადასავალის ფონზე გვახსენდება, როცა მწინვარწვერის მასივში, მწვერვალ ორწვერიდან დაშვებისას სასწაულად გადავრჩით.

იმ წელს კავკასიონზე ტურისტულ-ალპინისტურმა საზოგადოებამ „გურიის მთებმა“ ექსპედიცია მოაწყო. მეგობრების, სპონსორების დახმარებით მოვაგროვეთ შესაბამისი აღჭურვილობა, საკვები და კავკასიონისკენ დავიძარით.

გულითბილად მიგვიღეს ყაზბეგელებმა. გაზეთ „ალიონის“ რედაქტორი თამაზ სალუქვაძე წლების მანძილზე მუშაობდა



ქართველ და უცხოელ მთასვლელებთან ერთად

ყაზბეგში გაზეთ „დარიალის“ რედაქტორად, ხევის სიძე გახლდათ. თამაზის რეკომენდაციით ქირიკაშვილებმა პირველი ყურადღება მიგვაქციეს. შევხდით ცნობილი მთამსვლელის და სახალხო მთქმელის იაგორ კაზალიკაშვილის ოჯახის წევრებს. (იაგორის შვილიშვილი მერი კაზალიკაშვილი კულტურული მემკვიდრეობის დაცვის საზოგადოების ყაზბეგის ორგანიზაციას ხელმძღვანელობდა), შემდეგ მყინვარწვერის პლატოზე 3700 მეტრ სიმაღლზე აგებულ უზარმაზარ მეტეოსადგურში, რომელიც ამჟამად მთამსვლელების ბაზაა, ამ შენობის ამგების, მთისპირელი კაცის დავით შარაშიძის სახელიც წაგვეშველა და მოკლედ, ჩვენი ტურისტული ჯგუფი გერგეტის მყინვარის გავლის შემდეგ მეტეოზე ავიდა.

ჩვენს ჯგუფს, ცნობილი მთამსვლელი, ყოფილი საბჭოთა კავშირის სამგზის ჩემპიონი მთამსვლელობასა და მეკლდერულობაში, შხარაზე ცნობილი ასვლის დროს გურამ თიკანაძის მეწყვილე თამაზ ბაქანიძე ხელმძღვანელობდა.

გულთბილი მიღება, დაბინავება, და მომდევნო დღეებში დავიწყეთ მომზადება მწვერვალზე ასასვლელად. გულწრფელად გვიზიარებდნენ თავიანთ გამოცდილებას მეტეოსადგურზე მყოფი ქართველი და უცხოელი ალპინისტები. განსაკუთრებულად დაინტრესდნენ სამჭედლოში სახელდახელოდ დამზადებული პრიმიტიული წრიაპებით, რომლის არცერთი ცალი ექსპედიციის დასრულების შემდეგ უკან არ გამოგვატანეს, სამახსოვროდ დაიტოვეს. ნამდვილი წრიაპი ჩვენს ჯგუფში მხოლოდ ბატონ თა-მაზს ჰქონდა. ჰო, დამავიწყდა, სპეციალური თოკი საქართველოში მდგრადი ტურიზმის ცენტრის ხელმძღვანელმა ვანო ვაშაყმაძემ გადმოგვცა .

18-ში გერგეთის მყინვარზე „გენერალური“ ვარჯიში ჩაატარა ბატონმა თამაზმა. მთავარი ჯგუფის წევრები: რევაზ ცქვიტინიძე, შოთა ცხონელიძე და ამ სტრიქონების ავტორი ნაპრალების და სხვა წინაღობების დაძლევაში გვავარჯიშა. ისე „გავერთეთ“ ვარჯიშის დროს, რომ მწვერვალ „ორწვერის“მთავარი ქედის ძირში (4000მ.) კი ავედით. კარგი ამინდი იყო და შეგვეძლო ქედზეც ავსულიყავით, მაგრამ დაღამებამდე 2 საათიღა რჩებოდა და ასვლა არ გავრისკეთ. მეტეოსადგურში დავბრუნდით.

თამაზ ბაქანიძემ გვთხოვა, ადრე დაგვეძინა, რადგან მწვერვალზე საიერიშოდ ღამის 2 საათზე უნდა გავსულიყავით. კი დავწექით, მაგრამ არ გვეძინებოდა. 2-3 ჯერ ავდექი და გარეთ გამოვედი, მწვერვალს ვუცქერდი– თითქოს აქვე, ხელისგაწვდენაზე იყო მყინვარწვერი

დახლოებით ღამის 01 საათზე ამინდი აირია. ეს მთაში ჩვეულებრივი მოვლენაა ძალიან ვწუხდით. მალე თამაზმა გვითხრა, რომ ცუდ ამინდში მწვერვალზე ვერ ავიდოდით..

გათენდა. დანა პირს არ გვიხსნის. ჩაგვივარდა ექსპედიცია. აქ დიდხანს ვერ გავჩერდებით, რადგან ჩვენთან სხვებიც არიან და ასე მაღალ სიმაღლზე გაუჭირდათ აკლიმატიზაცია დილით მთასვლელების ერთი ჯგუფი თბილისისაკენ გავაცილეთ. ჩვენი ექსპედიციის ხელმძღვანელს ვთხოვეთ, ორწვერზე ავსულიყავით

ამინდი თითქოს ჩადგა და თამაზ ბაქანიძე დავითანხმეთ. ნელა მივიწევთ წინ. ცუდ ამინდში ქვათა ცვენაც გააქტიურებულია და ბედზე უსაფრთხოდ გავიარეთ ეს მონაკვეთი.

ამის შემდეგ გერგეთის მყინვარის ზედა მონაკვეთზე გავედით, სადაც არის უკიდეგანო ნაპრალები. თუ რა შედეგი მოაქვს, აქ უყურადღებობას, მყინვარის გაღმა დიდ ლოდებზე სურათებით და შესაბამისი სამწუხარო ინფორმაციებით მიხვდებით

თოკში საიმედოდ ვართ ჩაბმულები. პირველი ჯგუფის ხელმძღვანელი მიდის. მას მე მივყვები, შემდეგ რეზო მოდის და ბოლოში შოთა არის ჩამკეტი.

ამინდი ნელ-ნელა კვლავ იცვლება. იმდენად დიდი იყო მწვერვალზე ასვლის სურვილი, რომ ჩვენ შიში დავძლიეთ და გზა განვაგრძეთ. ზოგან ნაპრალი თოვლითაა დაფარული და ვფრთხილობთ.

იმ ადგილამდე, წინა დღეს რომ ვიყავით, მშვიდობიანად მივედით. ქედზე უნდა გავიდეთ. გამოცდილი მთამსვლელი თამაზ ბაქანიძე ჭრის თოვლყინულზე საფეხურებს, თავადაც ადის და თოკს ზემოთ საიმედოდ ამაგრებს. მორიგეობით ავდივართ.

შოთას ასვლისას ქედიდან დიდი ქვა დაგორდა, თუმცა შოთა თითქმის ამოსული იყო, ქვის ვარდნის სიჩქარეც დაბალი, ხელით შეუცვალა მიმართულება და გადავრჩით.

ორწვერის სიმაღლე ზღვის დონიდან 4222 მეტრია. გერგეთის მყინვარისა და მდინარე ქესიის წყალგამყოფი ქედის სიმაღლე ალბათ 4100 მეტრია. ქედზე რამდენიმე გუშაგია დასაძლევი, რომ მწვერვალამდე მიხვიდე. ქარია და სახიფათოა წინსვლა.

*–თუ რომელიმეს ფეხი დაუცდეს და ხრამში გადავარდეს, მომდევნო მეორე მხარეს გადახტეს!*–გვესმის თამაზის ხმა.

გაკვირვებულნი ვუყურებთ. გამოცდილი მთამსვლელი მიხდა, რომ ჩვენ ვერ ჩავწვდით ნათქვამის არსს და ჩაილაპარაკა: *–მე გადავხტები, ე.ი. ერთგავარ უნაგირს მოვაწყობთ*

რევაზ ცქვიტინიძეს დიდი ვიდეო კამერა „პანასონიკი“ მოაქვს, მაგრამ ბევრ მომენტს ვერ იღებს, ისე ჭირს მოძრაობა და უსაფრთხოებაზე უნდა იფიქროს

გავიარეთ რამდენიმე გუშაგი და მწვერვალსაც მივადექით. ამაყად ავწიეთ წერაყინები და „ვაშა“ შემოვძახეთ. სამახსოვრო ფოტოები გადავიღეთ, სადაც მხოლოდ მწვარვალის თავი მოჩანს, დანარჩენი ნისლშია მოქცეული.

სწრაფად მოვძებნეთ წინა ჯგუფის მიერ დატოვებული წერილი, ავიღეთ (ჰოლანდიელები იყვნენ) და ჩვენს მიერ საგულდაგულოდ შედგენილ წერილს ვტოვებთ სათანადო ადგილას. ყოველი შემთხვევისათვის წერილი ქართულ და ინგლისურ ენაზეა შედგენილი.

უკან დავბრუნდით. შოთა და რეზო მშვიდობიანად დავუშვით თოკით ქვემოთ, მაგრამ ჩვენ პრობლემა გვაქვს. ქედზე საიმედო ადგილი ვერ ვიპოვეთ თოკის დასამაგრებლად. ალბათ ნახევარი საათი დავკარგეთ. როგორც იქნა, დავეშვით ქვემოთ

აქ კი მდგომარეობა შეიცვალა. ისეთი სიძლიერის ჭექა-ქუხილი დაიწყო, ორი წლის წინ გომისმთაზეც კი არ გვინახავს, როცა ზამთარში მყინვარწვერზე ასასვლელად ვემზადებოდით. გომისმთაზე უცებ მოვიდა დიდი თოვლი და მისმა საფარმა ზოგან 2,5-3 მეტრს მიაღწია. ჩვენი გადარჩენა, მხოლოდ უფლის წყალობა იყო და ჩვენს დიდ რწმენაზე დამოკიდებული

ახლა კი უფლის წყალობასთან ერთად თამაზ ბაქანიძის გამოცდილებაზე ვიყავით დამოკიდებულები.

იგი ცდილობდა ჩვენ არ ჩავარდნილიყავით პანიკაში და არასწორი ნაბიჯები არ გადაგვედგა.

*–გადაყარეთ რკინის საჭურველი!*

ჩვენ უცებ გადავყარეთ მოშორებით წერაყინები და სხვა აღჭურვილი. რეზომ „პანასონიკიდან“ ძლივს მოგროვილი ფულით ნაყიდი აკუმულიაოტორიც ამოიღო და უფრო შორს მოისროლა.

*–არ იმოძრაოთ, ფეხის წვერებზე იყავით წრეში ჩამჯდარი!* –ახალი ბრძანება.

ჩვენ უსიტყვოდ ვემორჩილებით. ვხედავთ ელვა ჩვენს გარშემო და უფრო ქვემოთ ილაკება, რასაც გამყრუებელი ჭექა-ქუხილი მოჰყვება. თითქოს დათბა, არადა ძლიერად ყინავს.

–სფერული ელვა –რეზომ თუ შოთამ შეამჩნია

თამაზს შევხედე. ფერი ეცვალა კავკასიონზე, პამირ-ტიან შანში თუ ევროპის არაერთ მწვერვალზე ნამყოფ კაცს. ვხედები, რომ დიდი საშიშროების ქვეშ ვართ ჭექა-ქუხილს ძლიერი სეტყვა მოჰყვა. თითქოს ქვები დაგვიშინეს. მჭიდრო წრე გადავკეთეთ და ნაწილობრივ ერთმანეთს ვიცავთ საბედნიეროდ, სეტყვა რამდენიმე წუთს გაგრძელდა..




მარცხნიდან ნუგზარ ასათიანი, შოთა ცხომელიძე, თამაზ ბაქანიძე, რევაზ ცქვიტინიძე,

ქვემოთ დასაშვები გზა თითქოს წაიშალა. ჩვენი ნივთები კი მოვაგროვეთ, მაგრამ რეზოს ვიდეოკამერის აკუმულიატორი ველარ ვიპოვეთ. დროც არ გვაქვს. ღამდება. ჩვენს მიერ გზის ნიშნულებად დატოვებული ალპენშტოკები არც კი ჩანს. ნაპრალები გადაფარულია თოვლით. ერთ ადგილას რევაზი ჩავარდა ნაპრალში, მაგრამ თოკი დავქაჩეთ და ამოვიყვანეთ.

როგორც შემდეგ გვითხრა, როცა ქვემოთ ჩავიხედე, საშინელი უფსკრული და სიბნელე ჩანდაო.

გზაში მოწინავე შეიცვალა. თოკის თავში შოთა დგას. იგი ადრე სამთო ველოსიპედისტი იყო და კავკასიონის უღელტეხილებზე იყო ნამყოფი.როცა სამშვიდობის გამოვაღწიეთ, შოთამ გვითხრა – როცა მოვდიოდი, წინ მომიძღვოდა მანათობელი ხაზიო

გვიან ღამით დავბრუნდით ბანაკში. ქართველი და უცხოელი მთამსვლელები უკვე ჩვენს დასახმარებლად აპირებდნენ გამოსვლას. ჩვენი ჯგუფის წევრის, ბადრი ინგოროყვას (აცხონოს უფალმა) ემოციური დახვედრა ხომ განსაკუთრებული იყო.

თამაზ ბაქანიძემ ასეთ ცუდ ამინდში ასვლის გამო ალპურ კლუბში საყვედურებიც მიიღო. მიზეზი ჩვენ ვიყავით.

ეს 19 აგვისტოს, ფერისცვალების დღეს მოხდა. მადლობა უფალს.

ჩვენ შემდეგაც რამდენჯერმე ვიყავით კავკასიონზე, თუმცა ეს შემთხვევა განსაკუთრებულად დაგვამახსოვრდა.

**ნუგზარ ასათიანი**

# მალე ოზურგეთი კემპო კარატეში ევროპის ღია პირველობას უმასპინძლებს!

პრესტიჟულ სპორტულ ღონისძიებაზე, ჩატარების იდეაზე, ორგანიზატორებსა და მხარდამჭერებზე კემპო კატატეს საქართველოს ფედერაციის პრეზიდენტი, ამავდროულად ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სპორტულ – გამაჯანსაღებელ დაწესებულებათა გაერთიანების აღმოსავლური ორთაბრძოლების მწვრთნელი **ირაკლი ტულუში** გვიყვება :

*– „ჯერ კიდევ მაისის თვეში ოზურგეთი, სპორტულ – გამაჯანსაღებელ დაწესებულებათა გაერთიანება და აღმოსავლური ორთაბრძოლების სექცია ყურადღების ცენტრში მოექცა. აზერბაიჯანის ცენტრალური ტელევიზია, რომელსაც მთელი მსოფლიო უყურებს,რამდენიმე დღე აჩვენებდა და ყვებოდა საერთაშორისო სემინარზე კემპო კარატეში და კემპოს პრეზენტაციაზე ჩვენს ქალაქში, რომელსაც არაერთი ბავშვი, მოზარდი დაესწრო. მათ ამის ფუფუნება გაუჩნდათ.მაღალი დონის პროფესიონალებისგან მასტერკლასები მიიღოთ. მაშინ, კემპო კარატეს მსოფლიო პრეზიდენტმა თალვერდი ალახვერდიევმა შემოდგომაზე ოზურგეთში აღნიშნულ სა-ხეობაში ევროპის ღია პირველობის ჩატა-რება დაანონსა. ჩემს სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა”.*

აღნიშნულთან დაკავშირებით კემპოს მსოფლიო ფედერაციიდან სულ ცოტა ხნის წინ მოვიდა დასტური.

*„მართალი გითხრათ კიდევ არ მჯეროდა ჩვენ მოვახერხეთ და ევროპის ჩემპიონატის მასპინძლები ვხდებით. პირველად საქართველოში კემპო კარატეში ევროპის პირველობა გაიმართება და მას ოზურგეთი უმასპინძლებს“*–ირაკლი ტულუში ღინისძიების მასპინძლებზე, ღონისძიების ორგანიზატორებზე და მხარდამჭერებზე საუბრობს.

რაც შეეხება ჩემპიონატის გამართვის თარიღს, როგორც ტულუში ამბობს ის, 27, 28 და 29 სექტემბერსაა დაგეგმილი და მასზე დასწრება სპორტის მოყვარულებს სრულიად უსასყიდლოდ შეეძლებათ.

ირაკლისგან ისიც შევიტყვეთ, რომ ჩემპიონატში ოზურგეთელი სპორტსმენები (ჩვენი სექციის მებრძოლები) მიიღებენ მონაწილეობას, რომლების ჩემპიონატისთვის უკვე ემზადებიან.

საორგანიზაციო საქმეების მოგვარება კი ირაკლი ტულუშმა და სპორტულ – გამაჯანსაღებელ დაწესეუბულებათა გაერთიანებამ აქტიურად დაიწყო, რომ სპორტის, აღმოსავლური ორთაბრძოლების მოყვარულებს დაუვიწყარი სანახაობა და დღეები ვაჩუქოთ.



გაზეთ „ალიონის“ რედაქცია იუწყება **მანანა მენაბდის** გარდაცვალებას და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს.



დიდი სიყვარულით ვულოცავ ახალი სასწავლო წლის დაწყებას ოზურგეთელ მოსწავლეებსა და პედაგოგებს.

ეს წელი კვლავ ყოფილიყოს სკოლებისა და თეატრის წარმატებული ურთიერთობის წელიწადი.

**ვასილ ჩიგოგიძე**
ოზურგეთის სახელმწიფო თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი



ახალი სასწავლო წლის დაწყებას ვულოცავ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ყველა სკოლის მოსწავლეს და მასწავლებლებს.

ყველა ახალგაზრდას ვუსურვებს ჩვენი სამშობლოს ღირსეული შვილი გამხდარიყოს

**გელა აროშიძე**
ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე, მაჟორიტარი დეპუტატი სოფ. მერიაში, კონჭკათსა და თხინვალში



, გულითადად გილოცავთ ახალი სასწავლო წლის დაწყებას, გისურვებთ წარმატებებს ამ მეტად მნიშვნელოვან საქმეში. ამ დღეს განსაკუთრებით ვულოცავ მათ, ვინც პირველად შეაღო სკოლის კარი.

**პაატა კილურაძე**
ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიიის თავმჯდომარე. მაჟორიტარი დეპუტატი სოფ. ბაილეთში, სილაურსა და ჯუმათში.



ჩვენო ძვირფასო მოსწავლეებო, მასწავლებლებო, მშობლებო გილოცავთ ახალი სასწავლო წლის დაწყებას. ეს სასწავლო წელი ყოფილიყოს თითოეული თქვენგანის წარმატებისა და გამარჯვების წელი.

**ვახტანგ ნიჟარაძე**
ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოფელ ცხემლისხიდის, ვაკიჯვრის, მთისპირის მაჟორიტარი დეპუტატი

# გრაფიკისა და ბეჭდური მხატვრობის გამოფენა ოზურგეთში



**ალიონი.** 9 სექტემბერს, მერაბ ბერძენიშვილის სახელობის ოზურგეთის მუნიციპალიტეტის თანამედროვე სახვითი ხელოვნების ცენტრში შემოქმედებითი სახელოსნო GURIAN ART წევრთა და მოწვეულ მხატვართა დაზგური გრაფიკისა და ბეჭდური მხატვრობის გამოფენა გაიმართა.

გამოფენაზე წარმოდგენილია ვახტანგ მეგრელიშვილის, სერგო გოგოლაძის,ოქსანა სტრატიჩუკის (უკრაინა) ,ირინა ხარატიშვილის,ია არსენიშვილის, დოდო თაყაიშვილის, თამაზ, გია, საბა დარჩიების, დავით ულრელიძის, ლიკა კერვალიშვილის, ხათუნა სახელაშვილის, ნინა დარჩიას, ,ქეთი მესხის, თანდილა თავართქილაძის ნამუშევრები.

გახსნის ცერემონიალზე სიტყვებით გამოვიდნენ: ხელოვნებათმცოდნე **ლია ურუშაძე,** სახვითი ხელოვნების ცენტრის დირექტორი **ავთანდილ თავართქილაძე,** პროექტის ხელმძვანელი, თბილისის სამხატვრო აკადემიის პროფესორი **ვახტანგ მეგრელიშვილი,** გურიის მხატვართა კავშირის თავმჯდომარე **თამაზ დარჩია,** უკრაინელი მხატვარი **ოქსანა სტრატიჩუკი**, მხატვარი **დოდო თაყაიშვილი.**

*—,,შემოქმედებითი მივლინება ოზურგეთში", ოზურგეთის სახვითი ხელოვნების ცენტრის ერთ-ერთი წარმატებული პროექტია, რომლის მიზანი ხელოვნების პოპულარიზაცია და ორიგინალური ადგილობრივი კულტურული პლატფორმის ჩამოყალიბებაა.*

*ცენტთან არსებული შემოქმედებითი სტუდია-სახელოსნო ,,GURIAN ART" უკვე მერვედ მასპინძლობს პროფესიონალ მხატვართა ჯგუფს და ტრადიციულად სთავაზობს საინტერესო, თავისუფალ შემოქმედებით სივრცეს, ნოვატორული იდეების განხორციელებისათვის.*

*წელს იგი 4 ეტაპად გაიმართა. ბოლო ეტაპზე შემოგვიერთდა უკრაინელი მხატვარი ოქსანა სტრატიჩუკი, რომელმაც იაპონური დანადგარი ,,მაკულიტო"გადასცა ჩვენს სახელოსნოს. იგი წელს ჩვენთან მეორედაა და ძალიან მოხარული ვართ მისი ამ გამოფენაში მონაწილეობით"* —განაცხადა **ავთანდილ თავართქილაძემ.**

*—,,სიახლეები და ხელახალი ექსპერიმენტები მნიშვნელოვანია ხელოვანისთვის და ხელოვნებისთვის ზოგადად. ახალი ტექნოლოგიებით ახლის ძიება და ახალ შედეგებზე გასვლა უპირველესი ამოცანაა შემოქმედებისთვის. ოზურგეთის სამხატვრო გალერეა ყოველთვის მზადაა ამ ექსპერიმენრებისთის. მადლობა მათ"* —თქვა პროფესორმა **ვახტანგ მეგრელიშვილმა.**

**სერგო გოგალაძე,** გრაფიკოსი (ბათუმი):—*,,ვფიქრობ, რომ ეს შესანიშნავი პროექტი საქართველოში ერთადერთია გრაფიკის დარგში. აქ ჩამოდიან მხატვრები სხვადასხვა მხარიდან, უცხოე-თიდან, რომლებიც ეცნობიან ერთმანეთის ტექნიკურ და ტექნოლოგიურ ნიუანსებს. შემოქმედებითი პროცესების გაზიარება და გაცვლა საუკეთესო ატმოსფეროს ქმნის ".*

**ოქსანა სტრატიჩუკი,** (უკრაინა)—*,,მოხარული ვარ გურიაში ყოფნით. მადლობელი ვარ შესაძლებლობისთვის, რომ გავატარე დრო საოცარ ხალხთან, შემოქმედებით ატმოსფეროში" .*

**დავით ულრელიძე,** დაზგური გრაფიკა: *—,,ძალიან კარგ პროექტს ჩაეყარა საფ-უძველი. შეიქმნა სასიანოვნო გარემო შემოქმედებითი მუშაობისთვის, სადაც შესაძლებელი ხდება გრაფიკის შესაძლებლობის გახსენება და აგრეთვე, ახლებურად დანახვა."*

**ლიკა კერვალიშვილი,** მოქანდაკე: *—,,ვფიქრობ,,,შემოქმედებითი მივლინება ოზურგეთში" და აქ მიღებული გამოცდილება ძალიან დამეხმარება ჩემს საქმიანობაში. დიდი მადლობა პროექტის ორგანიზატორებსა და არაჩვეულებრივ პედაგოგებს თავდაუზოგავი შრომისა და ჩვენდამი გამოჩენილი ყურადღებისა და გულისხმიერებისათვის" .*

**საბა დარჩია,** ახალგაზრდა მხატვარი: *—,,პირველად ვმონაწილეობ მსგავს პროექტში. ძალიან მომწონს ბეჭდვის ხელოვნება. ოფორტი მრავალი ექსპერიმენტის საშუალებას იძლევა. ერთი ნახატი სხვადასხვა განზომილებითაა წარმოდგენილი და ეს შესანიშნავია."*







ოზურგეთის ბავშვთა სამკურნალო ცენტრი
გილოცავთ ახალი სასწავლო წლის დაწყებას!!





| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ღრუბელი +15+27 | წვიმა, +15+22 | წვიმა, +15+22 | წვიმა, +17+24 | მზე, ღრუბელი +16+25 | ღრუბელი +12+19 | მზე, ღრუბელი +13+19 |
| 16 სექტემბერი ორშაბათი | 17 სექტემბერი სამშაბათი | 18 სექტემბერი ოთხშაბათი | 19 სექტემბერი ხუთშაბათი | 20 სექტემბერი პარასკევი | 21 სექტემბერი შაბათი | 22 სექტემბერი ოთხშაბათი |